

სულ მალე დაიწყება USAID-ის მიერ დაფინანსებული საქართველოს აივ ინფექციის პრევენციის პროექტი (GHPP), რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციებს სთავაზობს, შეიმუშაონ და განახორციელონ ტრენინგი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდლებისათვის, რომლის მიზანია სამღვდელოების ფსიქოლოგიური კონსულტირება, სტიგმის დაძლევა, ასევე, ნარკოტიკების მომხმარებლებისათვის უზრუნველყოს აივ ნებაყოფლობითი კონსულტაცია და ტესტირება (VCT). მსგავსი ტრენინგები უნდა ჩატარდეს თბილისის სასულიერო აკადემიაშიც. (<http://finance.dir.groups.yahoo.com/group/jobs-ge/message/35543>)

შემაშფოთებელია, რა თქმა უნდა, ის, რომ ასეთი იაფასიან ტრენინგებს სთავაზობენ ჩვენს სამღვდელოებას ნარკომანებთან სწორი ურთიერთობის წარსამართავად და სტიგმის შესამცირებლად (?!), - ვინ, თუ არა გამოცდილმა მომღვარმა იცის ადამიანის სულის ანატომია, მეტადრე თავისი სულიერი შვილის ავადობის ისტორია და უამრავი ისეთი ნიუანსი, რომლის შესახებაც სხვამ არავინ იცის.

მაგრამ კიდევ უფრო შემაშფოთებელია ის, რომ პროექტი, რომელიც ზიანის შემცირების ქსელის მიერ იყო წარმოდგენილი, სატენდერო კომისიაში შეიტანა ისეთმა ოდიოზურმა პიროვნებამ, როგორცაა პაატა საბელაშვილი, ჰომოსექსუალ/ლესბოსელ/ ბისექსუალ და სხვა ცოდვის შვილთა დამცველმა და აპოლოგეტმა, ასეთი გარყვნილების მიმდევართა უფლებათა დამცველი ორგანიზაციის, ფონდ „ინკლუზივის“ დირექტორმა. (<http://inclusive-foundation.org/home/>). ამ „სანაქებო“ საქმიანობის გარდა პაატა საბელაშვილის კრიმინალური საქმიანობის შესახებ მთელმა საზოგადოებამ იცის. კერძოდ ის, რომ 2009 წლის 15 დეკემბერს იგი სამართალდამცველებმა დააკავეს და ბრალი წაუყენეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით (ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) და 262-ე მუხლის პირველი ნაწილით (საქართველოში ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონოდ შემოტანა, საქართველოდან უკანონოდ გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა). მას მიესაჯა 5 წლით პირობითი სასჯელი.

საკითხავია, რატომ შეატანინა ორგანიზაციათა გაერთიანებამ „ზიანის შემცირების ქსელმა“ თავისი პროექტი ასეთ ოდიოზურ პიროვნებას სატენდერო კომისიაში პროექტი და არა სხვა ვინმეს, თუნდაც ქსელში შემავალი ორგანიზაციებიდან რომელიმე ერთ-ერთ პიროვნებას? ეს იმიტომ, რომ პაატა საბელაშვილი ავტორიტეტია იმ უცხოური ორგანიზაციებისათვის, რომლებიც გრანტებს გასცემენ სხვადასხვა პროექტებისა და პროგრამებისათვის. აღსანიშნავია, რომ ტენდერში სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებიც მონაწილეობდნენ, თუმცა მაინც პაატა საბელაშვილისა და მისი მეგობრების უსახურ პროექტს გაამარჯვებინეს. აბა, ვის გაამარჯვებინებდნენ?!

საზოგადოებისთვის ასევე ცნობილია ალიანს „ზიანის შემცირების ქსელის“ იდეოლოგია და მორალური სახე. მათი პრინციპებია უსაფრთხო ინექცია და უსაფრთხო სექსი, სტერილური შპრიცები და პრეზერვატივები. დაავადებათა პრობლემატიკასთან დაკავშირებით ქრისტიანულ ზნეობრიობასა და ეკლესიოლოგიურ მიდგომებზე მათ მიდგომებში სიტყვა არ არის, ცოდვაზე და თავად დაავადებაზე, როგორც ცოდვის შედეგზე საუბარი ზედმეტია. აი, ამონარიდი მათი პროგრამული დოკუმენტიდან „ზიანის შემცირების პრინციპები“: (http://www.ziani.ge/index.php?option=com_content&view=article&id=6&Itemid=50&lang=ka)

* * *

„ზიანის შემცირება - ეს არის ნარკოტიკების მიღებით გამოწვეული ზიანის შემცირებაზე ორიენტირებული და კონცენტრირებული ძალისხმევა, და არა თავად ნარკოტიკების მიღების აღმოფხვრა. ზიანის შემცირების პროგრამის განხორციელებით საზოგადოება თავს იცავს ნარკოტიკების მოხმარებით გამოწვეული ზიანისაგან და იცავს ნარკოტიკების მოხმარებლებს მავნე შედეგებისაგან.

ზიანის შემცირება ნარკოტიკების მოხმარებას განიხილავს მოსახლეობის ჯამრთელობის დაცვის რეალისტური და პრაგმატული პოზიციიდან და პრაქტიკულად განხორციელებად მიზნებზეა მიმართული.

ქვემოთ ჩამოთვლილია ზიანის შემცირების ძირითადი სტრატეგიები:

შპრიცებისა და ნემსების გაცვლის პროგრამები: გამოყენებული ინექციური ინსტრუმენტების სანაცვლოდ ახალი ერთჯერადი შპრიცების მიწოდება. პროგრამა ითვალისწინებს ნახშირი შპრიცების უტილიზაციას და სამაგიერო უხმარი რთვერადი შპრიცების დარიგებას.

პროგრამის არსი არა მარტო იმაში მდგომარეობს, რომ ნარკოტიკების მოხმარებლები მივაჩვიოთ სტერილური საინექციო საშუალებების ხმარებას, არამედ იმაშიც, რომ ასეთი ურთიერთობისას მივაწოდოთ ინფორმაცია უსაფრთხო ინექციებზე, ქცევით და ჰიგიენურ ნორმებზე.

ჩანაცვლებითი თერაპია (ოპიოიდური თერაპია): სინთეტიკური პრეპარატის გამოყენება (მეთადონის ან ბუპრენორფინის (სუბუტექსის)) პაციენტებისათვის, რომლებიც დამოკიდებულები არიან არალეგალურ ოპიოიდებზე, როგორცაა, მაგ. ჰეროინი და მორფინი.

მომხმარებლებისა და მათი ოჯახის წევრების განათლება: ინდივიდუალურ კონსულტირებას ან ზეგდითი ინფორმაციისა და მასალების მიწოდებას შეუძლია დაეხმაროს ნარკოტიკების მოხმარებლებს ქცევის გაკონტროლებაში და ასწავლოს ნარკოტიკების მოხმარებისას დაინფიცირების რისკის შემცირება. იმ პირებს, ვისაც არ ძალუძს ნარკოტიკებისათვის თავის დანებება, ასწავლის ნარკოტიკების უფრო უსაფრთხოდ მიღებას, ინსტრუმენტების სტერილიზაციას, პრეზერვატივების ხმარებას და ასე შემდეგ. (იხ. მომხმარებლებისთვის)

სამედიცინო დახმარებისათვის მიმართვიანობის გაზრდა: ზიანის შემცირების პროგრამები დაბეჭითებით არწმუნებენ ნარკოტიკების მოხმარებლებს მიმართონ ადექვატური დახმარებისათვის და არწმუნებენ მედპერსონალს გაუჩიონ აუცილებელი დახმარება დისკრიმინაციული გამოვლინებებისა და განსჯის გარეშე.

ნარკოტიკების უსაფრთხო ინექციური მიღებისათვის განკუთვნილი ოთახები: სტერილური და კონტროლირებადი ფართობები, სადაც ნარკოტიკების მოხმარებლებს შეუძლიათ ინექციის გაკეთება, რათა არ იყვნენ დაკავებულები ამით ქუჩაში ან მარტო (ამით იზრდება დოზის გადაჭარბების რისკი). მოცემული ოთახები ნარკოტიკების მოხმარებელთათვის იძლევა შესაძლებლობას ნარკოტიკების ინექციური გზით უფრო უსაფრთხოდ მიღების სწავლებას, და ამით ამსცესების განვითარების რისკის თავიდან აცილებას.

ნარკოტიკების მიღების გამო სისხლის სამართლებრივი დასჯის შეცვლა ან მოხსნა: დასჯის სიმკაცრის შერბილება ნარკოტიკების მცირე რაოდენობის შენახვისათვის მისი პირადი გამოყენების მიზნით. (იხ. კანონმდებლობა).

* * *

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია. სრულიად აშკარაა, რომ ზიანის შემცირების ქსელის მთავარი მიზანია ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა და მოხმარება ჩანაცვლოს სინთეტიკური

პრეპარატების ლეგალური გავრცელებითა და მოხმარებით - ალბათ, ეს არაის ჩანაცვლების პროგრამის რეალური შინაარსი. იქნებ ვინმემ გვითხრას: მეტადონისა და სუბოტექსის მოხმარებლები უფრო ჯანსაღნი არიან, ვიდრე სხვა სახის საწამლავის მოხმარებლები? ხომ ცნობილია, რომ ეს პრეპარატები ალკოჰოლ ადამიანის ორგანიზმს და არც მათზე თავის დანებება უფრო იოლი. ისიც ცნობილია, რომ ეს სინთეტიკური პრეპარატები ადამიანში შუქცევადად კლავენ რეპროდუქციულ პოტენციალსა და თვისებებს, შთამომავლობის ყოლის შესაძლებლობასა და გამრავლებას, შესაბამისად, ერის დემოგრაფიული კრიზისის დაძლევის შესაძლებლობას. იქნებ ესეც ჩამნაცვლებელთა ერთ-ერთი მიზანია?

ყოველივე ამის შემდეგ სრულიად გაუგებარი და აღმაშფოთებელია: რა ესაქმება ზემოთ მოყვანილი პრინციპების გამტარებელ „ზიანის შემცირების ქსელს“ ეკლესიასა და სემინარია-აკადემიაში? რა უნდა პაატა საბელაშვილის პროტეჟირებით გამარჯვებულ პროექტს საეკლესიო, სამღვდელთა და სემინარია-აკადემიის სტუდენტების სივრცეში? აბა, როგორი სანახავია, თუ როგორ უტარებს ჰომოსექსუალ-ლესბოსელთა ბელადის, ლგბტ აპოლოგეტ-ლიდერის, პაატა საბელაშვილის პროტეჟე, პრეზერვატივებზე და შპრიცებზე ორიენტირებული „ზიანის შემცირების ქსელი“ ტრენინგებს საქართველოს ეკლესიის სამღვდელთა და სასულიერო აკადემიის სტუდენტებს, როგორ „ანათლებენ“ ლიბერალურ-ზნეგანურჩველური იდეოლოგიის მქონე ორგანიზაციების ალიანსის წარმომადგენლები „ჩამორჩენილ“ მართლმადიდებელ სამღვდელთა და ასწავლიან, თუ როგორ უნდა მოექცნენ ცოდვის შვილებს, ზიზღით (სტიგმა) თუ სიყვარულით. ვაი, სირცხვილო! მრავალს ავიწყდება, რომ ფსიქოლოგია სულის შესახებ სწავლებას ნიშნავს და ვინ, თუ არა გამოცდილი სულიერი მიძღვარი გაცილებით უფრო კომპეტენტური და ეფექტურია ნებისმიერი სახის ცოდვითან ბრძოლაში, ვიდრე არასამთავრობოები და საეჭვო ორიენტაციის ადამიანები, თუნდაც მედიკოს-ფსიქოლოგ-ფსიქიატრ- და სხვები? უზნეობის გამავრცელებელი ორგანიზაციები სტიგმის მოხსნას იმით ცდილობენ, რომ ცოდვას ცოდვის სტატუსს უხსნიან: მაგალითად, ჰომოსექსუალიზმი ცოდვა და დაავადება კი არ არის, არამედ პიროვნების სრულყოფილებიანი სექსუალური არჩევანი, პროსტიტუცია და ნარკომანია ცოდვა კი არ არის, არამედ, გარკვეული ქცევის წესი, ხოლო თუ მათ ლეგალიზებას მოვახდენთ, - რისთვისაც იღვწიან სწორედ ლიბერალ-ცოდვაგანურჩველნი, - მაშინ ის ცხოვრების ნორმალური წესიც კია. მაგრამ, თუკი ეკლესია სოდომ-გომორულ ბოროტებას ცოდვად მიიჩნევს და ამ გადასახედიდან ცდილობს, - და არც თუ უშედეხოდ, - ხსენებულ ცოდვებთან ბრძოლას, მაშინ ეკლესია, ლიბერალ-უზნეოთა თავლსაზრისით, ჩამორჩენილი, გაუნათლებელი და სტიგმის მატარებელია. ამიტომ აუცილებელია მათი განათლება, აუცილებელი ტრენინგები და სწორედ ისეთი ტრენინგები, როგორც პაატა საბელაშვილი და ზიანის შემცირების ქსელია.

ამგვარად, ზიანის შემცირების ქსელმა მავანთა დახმარებით, რომელთა ვინაობაც, იმედია, გამოაშკარავდება, შეაღწია ეკლესიაში და ტრენინგებს უტარებს სამღვდელთა. ასეთი ტრენინგები უკვე ჩაატარეს გორის ეპარქიაში და „განათლეს“ გორელი სამღვდელთა. შემდეგი ქალაქებია ზუგდიდი, ქუთაისი, თელავი. დააკვირდით ზიანის შემცირების ქსელის ტრენინგების განხორციელების რუქას: ეს ის ქალაქებია, სადაც მათ შპრიცების გაცვლის ოფისები აქვთ გახსნილი. შემთხვევითი არ არის მათი ვოიაჟების ეს საწყისი მარშრუტი, ვინაიდან მათი ერთ-ერთი სამიზნეა მღვდლების ინფორმირება ე.წ. რეფერალის საკითხებზე, ანუ, მისამართებზე, თუ სად უნდა გააგზავნონ ნარკომანები (ანუ შპრიცების გაცვლის მათ ოფისებში და ა.შ.). რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ამ პროგრამის ფარგლებში ტრენინგი უნდა ჩატარებინათ ბათუმის ეპარქიაში, მაგრამ იქაური მღვდელმთავრისგან ამაზე ვერ მიიღეს კურთხევა. თუკი ეს ასეა, მადლობა მეუფე დიმიტრის.

მაგრამ ერთი ეპარქია საქმეს ვერ უშველის. და თუ ეს უმსგავსოება არ შეჩერდა, ხვალ მოქმედებაში უკვე პრეზერვატივები მოვა და არ არის გამორიცხული, რომ რაიმე, მაგალითად შიდსის პრევენციის პროგრამის ფარგლებში მოაზრებული პროექტის ფარგლებში, სამღვდელოებას დაურიგონ პრეზერვატივები, რათა მათ იმ შემთხვევაში, თუკი რომელიმე მათი ცოდვის შვილი სიძვა-მრუშობის ცოდვაშია ჩაფლული, გადასცენ ეს „ჯანსაღი“ პრეზერვატივები, რათა უსაფრთხოდ მისდიონ სექსს და ამით საზოგადოება „გააჯანსაღონ“. არ გეგონოთ ეს ოდენ უხამსი ხუმრობა. აქეთკენ მიდის საქმე. ისიც არ არის გამორიცხული, რომ შეეცადონ და შეიტანონ ამ მიმართულების რაიმე ახალი საგანი სასულიერო აკადემიაში და მომავალი მღვდლები მაინც „გაანათლონ“ და „მოაქციონ“ ლიბერალურ ცნობიერებაზე, თუკი ძველები სტერეოტიპებით „შეპყრობილი“ ჩამორჩენილი ხალხია.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ, ალბათ, მღვდელმთავრები, უბრალოდ, საქმის კურსში არ არიან და როდესაც გაიგებენ არსებული პროექტის არსისა და იმის შესახებ, თუ ვინ ახორციელებს მას, მიიღებენ მართლმკვეთელურ პოზიციას და სირცხვილისგან დაიფარავენ ჩვენს დედა ეკლესიას.